

კრემლი: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-ში, № 8.

კანტორა კრემლი: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახ-ლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტო-რაში. მარჯვ მცხოვრებთათვის: ВЪ Типо-графіи. Въ редакціи газ. „Дროба“.

გაზეთის ღირებულება: თითო წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

სოციალ დემოკრატიული პარტია

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრათ

განცხადება: მკურნალობის, რუსულს, სომხურს და სხვ. ინტენსი-ვანი განცხადების: დიდი ასო-ვებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

კრემლიას უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

პირველი მკენისთვიდან ამ მდგომარეა წლის დასაწყისამდე

„დროება“

ღირს სა მანეთად

პირველი მკენისთვიდან წლის დასაწყისამდე—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თფ-ლის ში: რედაქციაში, სერგიევს ქუჩა-ზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

შალაქს გარეშე პირთა ამ აღ-რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типо-графіи. Въ редакціи газеты „Дроба“.

საქართველო

რა მანაზე უნდა ილაპარაკონ ძალაღის რჩევაში?

გაზეთის „მზობრის“ ერთ უკანასკნელ ნომერითაგანში მოყვანილია ოფილისის ძალაქის რჩევის ერთი ხმოვანის სიტყე-ბი, რომლის საზოგადო ჰაზრი ის არის, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენგანი (ე. ი. ხმოვანნი) იმიტომ არ დავიარებით კრე-ბებზედ, რომ რუსული ლაპარაკი არ ვიცით, ჩვენს სამშობლო ენაზე ლაპარა-კის ნება არა გვაქვს; ამის გამო მოგე-ბებურად სულ ხმა-ამოუღებლად ჯდობა კრებებზე, მივატოვებთ და აღარ დავდივარ-თო.

ზემოხსენებული გაზეთი სრულის სიზარტლით არღვევს ამ ხმოვანის სიტყე-ებს; იმას მოჰყავს მაგალითი შუთაისის, ახალციხისა და შორის საქალაქო რჩევე-ბისა, რომლებშიაც ხმოვანნი ხან რუსუ-ლად ლაპარაკობენ და ხან ქართულად, ვისაც როგორც ემარჯვება; გაზეთი ამტ-კიცებს, რომ ამ საგნის შესახებ არაეი-თარი განსაკუთრებული კანონი არ არის, რომ ხმოვანებმა მაინც-და-მაინც რუსუ-ლად უნდა ილაპარაკონ კრებებში; სომხს შეუძლია სომხურად ილაპარაკოს, ქართველს—ქართულათო, და თუ სხვები ვერ გაიგებენ, შეიძლება გადათარგმნაო.

„მზობრი“ არ სცდება ამ შემთხვევა-ში; მართლაც, კანონი არა თხოულობს და არც ითხოვს, რომ ქალაქის ანუ თა-ვალ-აზნაურთა კრებებში ყველამ უეჭვე-ლად რუსულად ილაპარაკოს; მთავრობამ

იცის, რომ ჩვენში, რიგიანი, ქვეყანაში გამოსაჩენი რუსული კი არ ურიგია, საყველ-პურო რუსულიც ბევრმა არ იცის და თუ იმათ ვალდებულათ გან-დიან რუსულად ილაპარაკონ, ეს იმის ნიშანი იქნება, თითქო მთავრობას ჰსურ-დეს იმათი გაჩუმება, ხმის-ამოუღებლობა იმ საზოგადო საქმეებზედ, რომლის განსახლულად და გადასაწყვეტად თვითონ ამ მთავრობამ და კანონმა მოიხმრა ისი-ნი.

ჩვენ არც კი გვჯერა, რომ ზემო-მო-ყვანილ ხმოვანს გულ-წრფელად ელა-პარაკოს „მზობრის“ სტატიის ავტორ-თან. ღარწმუნებული ვართ, რომ იმას უნდოდა მხოლოდ თავის გამართლება და რიგიანი მიზეზის წარმოდგენა იმის-თვის, თუ რად არ დადიან ისინი კრებებ-ზე და რატომ არაფერს არ აკეთებენ იმ საზოგადოებრივთვის, რომელმანც ისინი ამოარჩია თავის საქმეთა მზრუნველად. ნამდვილი მიზეზი ამისა კი, ჩვენს ჰაზრით, არის სიზარტლი და გულ-ავარდით საქმის მოკიდება, რადგან ამ კრებებში იმისი კერძოთ თავის სარგებლობისათვის არა-ფერს არ მოელოდა.

თუ ასე არ იყოს, თუ მართლა ჩვენს ხმოვანებს ჰსურდათ რაღე გაეკეთე-ბინათ, რომელიმე კეთილი ჰაზრები შეეტანათ ძალაქის რჩევაში, დღემდინ სად იყვნენ? ამ სამი წლის განმავალო-ბაში რატომ არა სთქვეს, რატომ არ გამოაცხადეს, ბევრი რამა გვაქვს სათქმე-ლი, მაგრამ რადგან რუსული ენა არ ვიცით, ვერა ვეთქვამს-რაო? რატომ ერთხელ არის მაინც არ სცადეს ქარ-თულად ან სომხურად ლაპარაკი?—იქნე-ბა არაეინ არ დაუშლიდა, იქნება ქარ-თულად ან სომხურად ნათქვამსაც კარ-გად მოისმენდნენ იმის ჰაზრსა და წინა-დადებას?

რადა თქმა უნდა, მართლა დიდი და-ბრკოლება იქნებოდა ჩვენი საზოგადო კრებებისათვის, რომ ამ კრებებში ლა-პარაკი, სხვა ენებზე გარდა რუსულისა, აღკრძალული იყოს. მაგრამ, როგორც ჰხდება, არ არის.

მკითხავთ: მაშ რატომ თქვენ, გაზე-თებმა, მაინც არ ურჩიეთ ოფილისის ხმოვანთ, რომ თუ რუსულად ლაპარა-კი ეძნელებად, სომხურად ან ქართულად ილაპარაკონ? იმიტომ არ ურჩიეთ, ერთი, რომ ვიცოდით ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ ისინი არ დაიარებოდნენ კრებებში და ყურსაც არ იბერტყდნენ ქალაქის საქმე-

ებისთვის, სრულებით ენის უცოდინა-რობა არ იყო, არამედ იყო სიზარტლი და დაუდევრობა; მეორე, ესეც რომ თითქმის მთელი ახლანდელი რჩევა ჩვენის ძალაქისა შესდგება სომხებისაგან და, მართალი გითხრათ, ჩვენ გვეშინო-და, რომ, თუ ერთს ვისმე ქართულად ამოვლო ხმა, ეს სომხები, რომელთაც მო-მეტებულ ნაწილმა რუსული და ქართული უკეთ იციან, ვინც სომხური, იმჟამსვე სომხურად დაიწყებდნენ ლაპარაკს, ეს კრე-ბა ამ ნაირად ნამდვილ სომხურ კრებად გა-დაიქცეოდა. თუ ერთხელვე დადგენი-ლია კანონად და წესად, რომ ვისაც რა ენაზე ემარჯვება, იმ ენაზე ილაპარაკოს, რასაკვირველია, ყოველ სომხს-ხმოვანს, ისე როგორც ქართველსაც, შეუძლიან თავის ენაზე ილაპარაკოს. ჩვენ ამას რო-დი ვამბობთ; ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ, თუ სომხს უფრო ქართუ-ლად ან რუსულად ემარჯვება ლაპარა-კი, მაინც-და-მაინც სომხურად ნუ ილა-პარაკებს, ქართველებს ისევე ის გვირჩე-ვნიან, რომ რუსულს, ნეიტრალურს ენა-ზე ილაპარაკონ, რადგან ეს ენა უფრო მომეტებულს გვევმის, ვინც სომხური.

მაგრამ არის კიდევ ერთი უბრალო მიზეზი, რომელიც სომხს და ქართველს უეჭველად რუსულად ალაპარაკებს ამ გვარს კრებებში, თუნდა რომ ეს რუსუ-ლი საძაგლათაც იცოდეს. ეს მიზეზი განლაეთ ცრუ-სირცხვილი და ცრუ-თავმოყვარება.

— მართლად რომ ვილაპარაკოვო, ამბობს ჩვენი ხმოვანი, იტყვიან, რომ რუსული არ გიცოდნიაო, გაუნათლებე-ლი კაცი ყოფილიაო!

ამ გვარი მიზეზები აბრკოლებდა და აბრკოლებს ახლანდელ ოფილისის რჩე-ვის ხმოვანთ სამშობლო ენაზედ ლაპა-რაკში. სრული იმედი გვაქვს, რომ მო-მავალი რჩევა ამ გვარი პირებისაგან არ იქნება შემდგარი, რომ ის რჩევა რო-გორც სხვა მხრივ, ისე ამ შემთხვევაში-აც უკეთ დააწყობს თავის საქმეებს.

ს. მ.
დღისური
* ოთქმის ოთხი თვის მხარ-თეძო-ზე წოლისა და მოსვენების შემდეგ, ბო-ლოს, ამ ორმებათს როგორც იყო მოგროვდნენ ჩვენი ძალაქის რჩევის ხმოვანნი. თავსაჯდომარედ ამ სხდომაზედ

იყო შალაქის თავე უფ. შიფიანი.

სხდომის განხილვისათვის ყველაზე პირველად აღმომჩვენებელთ სიის გასწორებაზედ მოილაპარაკეს. კრებამ დაამტკიცა შალაქის გამგეობის წინადადება, რომ ამ სიაში ჩაწერილნი იქმნენ და აღმომჩვენებელთ უფლება (კენჭი) მიეცეს ყველა იმ პირთ, რომელნიც 1 მაისამდინ და აგრეთვე სიების გამოცხადების შემდეგ შემოიტანებენ შალაქის გადასახადს, რომელიც იმათზედ ითვლებოდა.

ამის შემდეგ იყო სჯა პოლიციამეტრისა და პაქარის კამანდისათვის ახალი სადგომის დაჭერაზედ, რადგან ის სახლი, რომელშიაც ახლა პოლიციამეტრი და კამანდა დგას, ერთობ ძველია და გადაკეთება ეჭირვებოდა. ხმოვანის უფ. ალადათოვის წინადადებით, რჩევამ გადაწყვიტა, რომ შამგეობამ გამოაცხადოს ადგილობრივს განეთებში შალაქს პოლიციამეტრისა და კამანდისათვის სადგომია საჭიროყო და რომელი სახლი-პატრონიც უფრო კარგ პირობას მოგვცემს, იმისაგან დაეჭირავათო.

შამგეობამ შეიტანა რჩევაში წინადადება, რომ მიეცეს იმას უფლება კიდევ დახარჯოს შალაქის ხაზინიდან 2,500 მანეთი მეომრების ღარიბის და ობოლის ცოლშვილისათვის. ამ საგანზე მოლაპარაკების დროს ხმოვანმა უფ. ალადათოვმა სთქვა, რომ ჩვენ სულ ეხარჯავთ შალაქის ფულს ისე, რომ არც კი ვიცით წლის ბოლოს რამდენი გასავალი გვექნება, და შემოსავლის მომატებაზე კი სრულიადაც არ ვფიქრობთო. რჩევამ არ მიხედა უფ. ალადათოვის აზრს და მიიღო მაინც შამგეობის წინადადება.

ამას გარდა იყო კიდევ სჯა შამგეობის წინადადებაზედ, რომ შალაქმა დანიშნოს თავის სასარგებლოდ გადასახადი იმ ურმებზე და პოვოზკებზე, რომელნიც ჰაელაბრის, რიყის და მრეწვის მიედნებზე ჩერდებიან. ხმოვანთა მიიღეს მხედველობაში, რომ უიმისთავე სიძვირეა შალაქში; და ამის გამო ამ წინადადებაზე უარი სთქვეს.

ბოლოს უფ. მლიმირზოვმა შეიტანა წინადადება, მოვილაპარაკოთ იმ გახშირებულ ავაზაკობაზედ, რომელიც ასე აწუხებს ამ ქვამდ ჩვენ შალაქსაო. ამ საგანზედ შემდეგს სხდომაში იქნება სჯა.

* * * ამბობენ, რომ გამოჩენილი ავაზაკი ტატო წულუკიძე, რომელზედაც ამას წინათ ისმოდა, რომ რუსეთში გადავიდა, ამ ქვამდ ისევ ქალაქში გაჩენილა. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ერთს კაცს ის ღენერლის ტანისამოსში უნახავს, გულზედ წმ. ბიორგის აფიცრის ჯვარი ეკიდოდა.

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ თ. რაფ. მრისთავს შეუღებია სქემა ქართული გრამატიკისა, რომელსაც კიდევ აბეჭდინებდნო.

ქართულს ენაზედ რამდენიმე გრამმატიკა არის დაწერილი; მაგრამ ყველა ერთობ ძველებია, არცერთი არ აკმაყოფილებს ახლანდელ ქართული ენის მოთხოვნილებას. ამის გამო სასურველია და ძალიან საჭიროცაა, რომ ერთი ხეირიანი ქართული გრამატიკა გამოიცეს.

* * * ჩვენ გვითხრეს, რომ მისს მალალ ყოვლად-უსამღებლოესს საქართველოს ეგზარხოსს იოანნიკის განზრახვა აქვს, რომ მცხეთის დედათ-მანასტრის საქალებო (სამონაზნო) სასწავლებელი თფილისში გადმოიტანოს ანჩისხატის ეკლესიის გალავანშიო.

* * * ბრძოლის ველიდამ დაბრუნებულ მილიციონერებმა დიდ-ძალი ქართული წიგნები იყიდეს თურმე უფ. ბრ. ჩარკვიანის ქართულ წიგნის მაღაზიაში. მომეტებულ ნაწილს ამათგანს, როგორც გვითხრეს, ლაშქარში, ცუდათ ყოფნის დროს, დაუსწავლიათ ქართული წერა-კითხვა და ახლა, რომ არ დაავიწყდეთ, შაურიან წიგნებს ჰყიდულობდნენ თურმე ბაზრებში და ხსენებულ წიგნის მაღაზიაში.

* * * ბორის ახალქალაქიდან გვატყობინებენ, რომ ქართული სცენის მოყვარენი ამ დღეებში, იქაური შკოლის სასარგებლოდ, ქართული წარმოდგენის გამართვას აპირებენო. ანტონოვის კამედია „მზის დაბნელება“ უნდათ ითამაშონო.

„დროების“ კორამსკონდენცია

სოფ. საბარაქო, 16 სექტემბერს. საღამოს რვა საათზედ მოვიდა საგარეჯოში შალაქიდან უფ. თფილისის ლუბერნატორისაგან გამოგზავნილი ჩინოფნიკი თ. ნ. მრისთავი, და ჩამოხდა შკოლის სახლში.

მაშინვე შეუდგა ხალხის დაბარებას და თვითვეულს ცალკე ოთახში ჰკითხავდა—თუ მამასახლისს ანუ სხვა მოხელეებს რა ოინები ჩაუდენიათ მათზედ მილიციონერების აკრფის დროს. იმ ხსენებულს ღამეს დაიბარა და გამოჰკითხა სახელდობ ზიგოლა მსაიაშვილს და დეკანოზ თეთიაშვილს, რომელნიც ამოიკითხა „თფილისის უწყებიდგან“.

მეორე დღეს დილით უბრძანა მამასახლისს და ნაცვალს, რომ მთელი სოფლის ხალხი შეეკრიბათ, ყველა სახლიდგან თითო მაინც დასწრებოდა.

ხალხი, რასაკვირველია, ნახევარ საათის განმავლობაში შეიკრიბა შკოლის წინ. თ. მრისთავმა სთხოვა ხალხს, რომ თუ ჰსურთ ცოტათი მაინც განთავისუფლდნენ შევიწროებისაგან და მათი მატყუარი და მცარცევეი ხალხი დასჯილიყო პირუთნელათ და დაუზიდებელად, სთქვან ყველაფერი, ნურაფრისა ეშინიანთ და სხვ. შემდეგ დაუწყო ხალხს გამოკითხვა ზემო-ხსენებულს გარემოებაზედ.

ამ დროს უნდა გენახით მამასახლისი—რა ნაირათ იყო აღშფოთებულა: მისლიოდა და მოსლიოდა ფერი; ჯავრით აღარაფერი გაეგებოდა.

პირველათ თ. მრისთავმა ჰკითხა—თუ რა ნაირათ არიან შეწუხებულნი მამასახლისისაგან. ხალხმა მაშინვე დაიწყო ყვირილი, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ; ზოგი ამბობდა: მამასახლისმა ქრთამები გამომართავო და საქმე კი არ გამოიკეთაო; ზოგი ყვიროდა: მინდვრის ფულები შემიჭამაო; ზოგი ამბობდა: ინდოური შემიჭამაო, ზოგი რას და ზოგი რას.

ახლა მიდგა საქმე სუდიებზედ; ჰკითხა ხალხს, ხომ უკმაყოფილონი არა არიან მათი? აღმოჩნდა, რომ ხალხი ამათგანაც ძალიან შეწუხებული ყოფილა. თურმე მიდიან ყოველ დღე, მაგრამ სუდის სახლი დაკეტილია. ზოგი ყვიროდა: მაგათი სუდი ალექოს დუქანიო!

ბოლოს თ. მრისთავმა მოსთხოვა სუდიებს დავთრები. აღმოჩნდა, რომ მათ უკანასკნელი საქმის გარჩევა ჰქონათ მარიამობის თვის ოთხსა! ხალხი ყვიროდა: „ბატონო, ფულები კი არა გვაქვს, რომ სადილი გაუკეთოთ და ქრთამები მიეცეთ, და რათ გააჩვენებთ საქმეებს!“ თ. მრისთავმა სუდიებს უთხრა: რატომ ყოველ დღე სუდში არ იმყოფებოდითო, საჩივრებს არ არჩევდითო? მაგრამ მათ ამაზედ შემოიტანეს სხვა-და-სხვა მიზეზები, რომლებიც იყვნენ შეუწყნარებელნი.

თ. მრისთავი ყველა ამ უწყსურებას სწერავდა. ეს კრება გაგრძელდა ნაშუადღევის ორ საათამდინ, რომლის შემდგომაც თ. მრისთავი გამოემშვიდობა ხალხს დაწავიდა.

იმედი გვაქვს, რომ იმის გამოძიებას ერთი რამ კეთილი ბოლო ექმნება ხალხისათვის. . . .

ბ. შ.

წერილი რედაქტორთან

პატივცემულო უფ. რედაქტორო! მე წავიკითხე № 170-ში რომელიმე მხრითგან მიღებული შენიშვნა, რომელიც აცხადებს, რომ ახალციხელ მ. პ. მღ. ხარისჩაროვის მეცადინეობით რომის პაპს და მის კარდინალებს გარდაეწყვიტოს საქართველოს ყველა კათოლიკეობისათვის, (რომის კათოლიკეთა თუ სომხის კათოლიკეთა?) ქართული ლიტურგიის დაწესება ყოველთ კათოლიკეთ ეკლესიებში.



მს შენიშვნა სრულიად უსაფუძვლო მგონია, ამიტომ, რომ კანონით ყოველი პაპების გარდაწყვეტილება რუსეთის კათოლიკეთ შესახებ ჯერ პირველად უმაღლეს მთავრობას წარედგინება, იგი პოლღელის გარდასცემს, პოლღელია ეპარხიის ეპისკოპოსს და მისგან სასულიერო მმართველობათა და ადგილობრივ დეკანებს მიუვათ ცნობა. და თუ მართალი ყოფილიყო, უეჭველად მაგის დამწერის წინადაც ჩვენ შევიტყობდით.

შესახებ ქართულის ლოცვების გაგონებისა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კათოლიკეთ ერთ სოფლით ქალაქამდის სრულიად არ საჭიროებს ქართულს ლოცვებსა (?), რადგან წიგნის უსწავლელთაც ყოველთ თავიანთ საჭირო ლოცვა-მოდღვარებანი ძალიან კარგად იციან ქართულად, მამათა თუ დედათა. წიგნის მცოდნეთ ხომ რაღა თქმა უნდა, მუდამ ქართული მოძღვარებანი, ისტორიანი, ლოცვის წიგნები ჰქონიათ, ყოველ უქმე-კვირას ქართული სახარება, ქადაგება და საჭირო დარიგებანი, არა თუ ახლა, არამედ ოსმალის მძლავრ-მფლობელობისაც უმფრო წარმატებულად ამისგან.

მინე მესხი

ახალციხე, 23 სექტემბერს

უსსო ქვეყნები

ინგლისი

ინგლისურს გაზეთს „სტანდარში“ იწერებინან:

„პვირაში რამდენჯერმე იკრიბებიან ამ ქაშად ჩვენი (ინგლისის) მინისტრები და გაცხარებული მოლაპარაკება აქვსთ აგვანისტანის საქმის თაობაზედ. შევლა მინისტრების ჰაზრი ეს არის, რომ, თუ მძირმა არ დააკაყოფილა ინგლისი, უეჭველად ომი უნდა გამოუცხადოთო.“

„და რადგან შესაძლებელია, რომ ამ ზამთრამდინ დაიწყოს ლაშქარი, ამის გამო, სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, ჩვენი ინდოეთის ჯარებისათვის ამჟამად თბილი, საზამთრო ტანისამოსი იგზავნება.“

„ამბობენ, ჩვენი ჯარები 1 ნოემბერს გადავლენ აგვანისტანის სამზღვარზე და ეცდებიანო, რომ ზამთრის დადგომამდინ მაგარი პოზიციები დაიჭირონო.“

ოსმალეთი

ლონდონის გაზეთს „თაიმსში“ დაბეჭდილია შემკლებით მუხლები იმ ახალ პირობისა, რომელიც რუსეთსა და ოსმალეთს შეუკრავთ ერთანეთში.

პირველი მუხლი ამ პირობისა ამბობს, რომ დღეის დღიდან რუსეთი და ოსმალეთი სამუდამოთ მეგობრები არიან ერთმანეთშიო.

მეორე მუხლში მოხსენებულია, რომ ორივე სახელმწიფოები ვალდებუ-

ლნი არიან, რომ ბერლინის ტრაქტატი პატიოსნად ასრულონ.

მესამე მუხლში სწერია, რომ ორივე მხარეები შეასრულებენ იმ მუხლებს სან-სტეფანოს პირობისას, რომელიც ბერლინის პონგრესმა ხელ-უხლებლად დასტოვა.

მეოთხე მუხლი კონტრიბუციას შეეხება: ა) ოსმალეთმა უნდა გადაუხადოს რუსეთს ომის ხარჯი—სამასი მილიონი ფრანკი (ას მილიონ მანეთამდინ); ბ) ათი მილიონი ფრანკი იმ რუსის ქვეშევრდომთა სასარგებლოდ, რომელიც ამ ომის დროს ზარალი მიეცათ და გ) ნახევარი მილიონი ფრანკი ლუნაის (სულინის) ნავსადგურის გასაკეთებლად.

მოს მუხლში მოხსენებულია, რომ იმ მცხოვრებლებს ოსმალეთის მაზრებისას, რომლებიც რუსეთს დარჩა, უფლება აქვთ, რომ სამი წლის განმავლობაში, თუ ჰსურთ, დარჩნენ თავის ქვეყანაში, გაჰყიდონ თავის უძრავი და მოძრავი ქონება და შემდეგ გადასახლდნენ ოსმალეთში.

— ხონთქარს მოუწვევია ტუნისილამ იქაური ბეის პირველი მინისტერი ჰაირედდინ-ფაშა, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა წიგნი იმის თაობაზედ—თუ როგორ შეიძლება ოსმალეთის სახელმწიფოს ფეხზე დაყენება და ყოველის მხრით წარმატებაო. ამბობენ, ხონთქარს განზრახვა აქვსო, რომ ამ ჰაირედდინ-ფაშას მიანდოს დროებით ოსმალეთის სახელმწიფო საქმეების ხელმძღვანელობა, იქნება იმის პროექტებმა და რეფორმებმა დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის წინ წაწევისათა.

ამ ჰაირედდინ-ფაშას ძალიან ჭკვიან კაცს ამბობენ. ის არის ერთი ჩერქეზის შვილი და ამ ქაშად ორმოცი წლის კაციო.

აპსტრია

გაზეთის „ბოლოსის“ ბოხნიელი კორესპონდენტი იწერება, რომ იმისთანა ბარბაროსობა და მხეცობა, როგორშიაც აქ აესტრიელები სჩადიან, ოსმალს ჯარებს თავის დღეში არ ჩაუდენიათო. შევლა ბოხნიელს, რომელსაც კი ტყვედ აიყვანენ აესტრიელები, იმ წამსვე განუკითხვად ხერტენო. პრათუ ტყვეებს, დედა-კაცებსა და ბავშვებსაც შეუბრალებლად ხოცენო; აიღებენ თუ არა რომელსამე ქალაქს, სალდათები დაესვნიან სახლებს და საცა კი ან მოხუცებული, ან დედა-კაცი, ან ძუძუ-მწოვარი უსუსური ბავშვები შეხედებთ, შეუბრალებლად ხოცენ, ანარცხებენ მიწაზე, ან ხანჯალს ჩასცემენო.

ამ გვარის მხეცურის მოქმედებისაგან, ხსენებული კორესპონდენტის სიტყვით, ისეთ ნაირად გაბრაზებული არიან ბოხნიელი აჯანყებულები, რომ გადასწყვიტესო, სანამ უკანასკნელი კაცი სისხლს არ დაღვრის, მანამ თავის ნებით არ დევმორჩილოთ აესტრიასაო.

რუსეთი

აღმოსავლეთ რუმელიაში (სამხრეთ

ბოლგარიაში) დაყენებული რუსის ჯარის უმთავრესი კვარტირა ამ ბერლინის წლის განმავლობაში იქნება ქალაქს ფილიპოპოლში, სადაც იდგომება თავის ჯარით ღენ. სტალიზინი. ამას გარდა შუმლაში იქნება დაყენებული ღენ. სკობელევის კორპუსი.

— პეტერბურღში აშენებენ ისეთს სახლს (საინვალიდო სახლს), რომელშიაც იცხოვრებენ ომში დაჭრილი აფიცრები და სალდათები, რომელთაც ლუკმა-პურის მოპოვება არ შეეძლებათ. ამ სახლის ასაშენებლად მარტო პეტერბურღს ასი ათას მანეთამდინ შეუწირავს.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 26 სექტემბერს. „რეიტერის სააგენტო“ ამბობს, საეჭვოაო, რომ ინგლისის ჯარებს ალიმუსვიდი დაეჭიროსო.

ლონდონი, 26 სექტემბერს. რუსის კომისარმა გამოაცხადა ღღეს, რომ რუსეთი ისე განაგებს რუმელიაში, როგორც სან-სტეფანოს პირობაში არის მოხსენებული და არა ბერლინის ტრაქტატის თანახმათაო.

ვენა, 26 სექტემბერს. ბელგრადილამ იწერებინან, რომ რისტიჩი დაუნიშნავთ სერბიის ელჩათ ოსმალეთში.

პეტერბურღის ბირჟა, 26 სექტემბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	96—50
მეორესი — — — —	95—75
მესამესი — — — —	95—62
მეოთხესი — — — —	95—75
აღმოსავლეთის — —	92—75
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—17
ოფილ. თავად-აზნ. ბანკის გიროს ფურცელი — —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	232 — „
მეორე სესხის — — —	228 — „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	24 — 8 პენსი
ამსტერდამი — —	123 — 24 ცენტი
ბერლინი — —	205 — 50 ჰენიგი
პარიჟი — —	251 — „ სანტიმი

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გაგზავრისაგან.

საზიროს სახლი უფროსი კომლიციონისტის სადგომად, იმის კანცელარიისა და არხივისათვის და აბრამთვე პაპარის კამანდისათვის.

მს სახლი უნდა იყოს სადმე შეუფულ ქალაქში; იმას უნდა ჰქონდეს საჯინიო (კანონი) ვინ ცხენის დასაყენებლად, დიდი ეზო და მოთავსებული დიდი ალყაფის კარები.

თფილისის ქალაქის გაგზავრა სთხოვს იმ სახლის-პატრონთ, რომელთაც ჰქონთ ამ საჭიროებისათვის სახლის გაქირავება, მოვიდნენ გამგეობაში (უპრავაში) მომავალ ოქტომბრის თვის 5 რიცხვამდინ და ამასთანავე წარმოადგინონ თავიანთი დაწვრილებითი პირობები.

(3-1)

გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისეილება:

„ნიკოლ“

მოთხოვრა თავადი რაფიელ მრისთვისა უასი 15 კაპიკი.

იქვე ისეილება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილი საბა-სულხან ორბელიანის სიგარძე-სიტრუიდაჲ და გალეკილი თ. რაფ. მრისთვისაგან. უასი ორი რაპიკი.

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, თფილისში, მაღაზინის პროსპექტზე, ისეილება რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი „გატონ-ფიგონის უფლება საქართველოში“ („Кръпостное Право въ Грузин“). თითო წიგნის უასი თხუთმეტი რაპიკი, გაგზავნიით ოთხი აბაზი.

გამოვიდა და ისეილება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდაჲ, გადმოკეთებული ზრ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“ კ. მესხისაგან.

ისეილება: თფილისში — ყველა წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

უასი შველგან ექვსი რაპიკი.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა

ქ. ქუთაისში

„წიგნის მაღაზია“

ადაც ისეილება ყოველ-გვარი სახელმძღვანელო წიგნი (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. მარა სახელმძღვანელო წიგნებისა „მაღაზიაში“ ისეილება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც. აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამევე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება ქავკაზის სამსწავლებლო უწყების კომისიონერის უ. მართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, ძღუბის ქვემოთ.

ისეილება პარტიითა და თითო კულითაცა **თამარაჲ**, მხორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესნი: ბაღერეი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაზოვი.

დაიბეჭდა და ისეილება უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში — და შეიკრავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. მამცხევთან ახალი წიგნი.

ლეკსთა კრება

თ. ბრიგოლ ორბელიანისა, ილია შავჭავჭავისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ შურცვოადისი, ივანე პერესელიძისი, იოსებ ბაქრაძისი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია შიჭინაძისა უასი ორი რაპიკი.

გამოვიდა და ისეილება

შვექსე კარი „ქარამანიანისა“

ქ. თფილისში, მიხაილოვის ხილზე, მიხაილოვის შენობაში, მხოლოდ ს. არტ. მართანოვის წიგნის მაღაზიაში.

უასი 40 კოპ.

მსურველს შეუძლიან მიიღოს ამ წიგნის მაღაზიაში I, II, III, IV და V კარი „ქარამანიანისა“.

იბეჭდება და მომავალ თვეში გამოვა მეშვიდე კარი „ქარამანიანისა“.

(3-3)

მიხელოსონის სტამბაში, რომელიც იმყოფება მაღაზინის პროსპექტზედ, ჩითანოვის სახლში

მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული ურიქტი**, ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

რპ. გზა.	ლილ.	საღად.	II კ.	III კ.	ბელგარაჲ	მან. კაპ.	მაჯანდა	მან. კაპ.	თფილისის სამაჲრნალო
თფილისი . . .	9 21	5 18	6 18	8 38	მ. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 21 სექტემბ.		მრევეს მაქანაზე, წ. ნამდღვაროვის სახლებში.
მცხეთა . . .	10 11	6 27	6 68	3 38	ქუთაისს, უთს	1	უფე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	170	აკათმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან I-მდინ.
ბორჯ . . .	11 58	9 43	2 40	1 33	ბორჯ, ლუშეთს, სიღნაღს . . .	50	შევილი წითელი	150	მ. რაშაბათს: მერმეშვი და ბა-რალეიჩი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
ხაშური . . .	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვის, მდესას, მოსკოვის	2	ქერი ფუთი	125	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
სურამი . . .	1 44		4 42	2 46	პეტერბურღს, მარშაგას	2	ბაშა მრევეისა, ფუთი	720	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
ქვირილი . . .	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიასში . . .	3	— ამერიკისა, ფუთი	760	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
რიონი . . .	6 57		6 75	3 75	იტალიასი და სვანეთში	3 50	ბაქრელი თუშური ფუთი . . .	850	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
სამტრედილა . .	7 51		7 73	4 29	ინგლისში	3 75	— მარაქამისა ფუთი	450	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76	შორბა		აბრეშუმი ნუხური სტ	2	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
ფოთი . . .	9 50		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარ-თს, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და ხუთშ. მზურ. — პარასკ. და ორშ. ბახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-სიდან: თფილისისა და ფოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურ-გეთს — ორშ. და პარასკ.		ჭონი, ფუთი	650	შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
ფოთი . . .	9 3				წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ. და სამზღვარ გარეთ:		ჭონის სანთელი ფუთი	840	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
ახალ-სენაკი	10 14		1 18	66	ლია წიგნი	4	სტეფანის სანთელი, ფთ.	1220	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
სამტრედილა	11 5		2 6	1 14	დ. ბ. ჯიღოს (ხამი მისხლი)	8	ხორცი ძროხისა, ლიტ	81	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
რიონი . . .	12 13		3 4	1 69			— ცხენისა, ლიტრა	90	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
ქვირილი . . .	1 18	ლაშე.	3 98	2 21			სპირტი ვედრო	480	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
სურამი . . .	5 12		1 10	5 33			შაქარი, ბროც. ფუთი	740	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
ხაშური . . .	5 39		1 37	5 84			— ფხვნილი ფუთი	620	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
ბორჯი . . .	7 5		4 8	7 36			შავ გრგვილი, გრგვ	70	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
მცხეთა . . .	8 50		6 59	9 8 5 4			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	14	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.
თფილ. სი . . .	9 31		7 56	9 75 5 42			მამაქო, საშულო ფთ.	750	სამაშაბათს: მერმეშვი — შინაგ. ავათ., ძიუჩა-რიანც — საჯარო ექმი და საშვი-ლელს ობერაციები.